ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4724000

ნომერი: AR1713656

თარიღი : 21.10.2019

გაცემის თარიღი : 24.10.2019

გაცნობის თარიღი : 28.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზურგოვანსა და მუხადგვერთში ასასვლელი გზის შესაყარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საც.მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგი ტოგონიძე პ/ნ 18001003129
- ი. ჭავჭავაძის გამზირი 35ა ბ.47

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ: N 01.02.696 წყალარინების ქსელი, მესაკუთრე შპს“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მის მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.
2. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ: N 01.00.404 მიწისქვეშა კომუნიკაცია, წყალსადენი, მესაკუთრე-შპს“ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მის მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.
3. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ: N 01.01.867 10 კვ საჰაერო ხაზი, სააქციო საზოგადოება „თელასი“), საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და მის მიერ გრაფიკულად დამოწმებული გენგეგმა.
4. ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ გადის გაზის მილები, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დკავშირებით.
5. ვინაიდან უშუალოდ იმ ადგილას, სადაც ხდება ღობის განთავსება, ფიქსირდება ხე-ნარგავები, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

----- ასევე, გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ: 01.72.14.014.962 დატვირთულია სერვიტუტით, რომლითაც სარგებლობა შეუძლია 01.72.14.014.952 მიწის ნაკვეთის მეპატრონეს, აქედან გამომდინარე, საჭიროა დაცულ იქნას ზემოაღნიშნული მეპატრონის უფლებები და არ შეიზღუდოს სერვიტუტით სარგებლობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.